ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N4

ქ. ლანჩხუთი **22.04.2019 წელი**
16.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი გვარჯალაძე.**

კომისიის წევრები: ზაზა წულაძე, ცისანა ურუშაძე, კახა თედორაძე, კახა ბოლქვაძე, ემზარ თევდორაძე, რეზო კვაჭაძე, ბესიკ კუპრაძე, აკაკი იმნაიშვილი, იოსებ ჩხაიძე, სპარტაკ კვაჭაძე.

სხდომას ესწრებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი საჯარო შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტების მოწონების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი გვარჯალაძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმდჯომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 11; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხი: კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** კომისიას გააცნო
„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი საჯარო შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტების მოწონების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** განაცხადა, მან აღნიშნა, რომ „ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის №120 დადგენილების შესაბამისად" განსახილველად და მოსაწონებლად წარმოდგენილი გვაქვს 2019 წელს განსახორციელებელი პროექტების ნუსხა:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთში ამბულატორიის რეაბილიტაცია-20 000 ლარი.
2. .ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანაში ამბულატორიის რეაბილიტაცია-25 000 ლარი.
3. .ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგოითში ამბულატორიის რეაბილიტაცია-25 000 ლარი.
4. .ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთში ამბულატორიის რეაბილიტაცია-25 000 ლარი.
5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსაში ამბულატორიის მშენებლობა 72 416 ლარი.

კომისიის წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი საჯარო შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტების მოწონების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის სხდომას განსახილველად.

მომხრე 11; წინააღმდეგი არცერთი.

2. სხვადასხვა.

1. დეპუტატმა **ზაზა წულაძემ** განაცხადა, რომ ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში არის ორი ამბულატორია, აქედან ერთს უტარდება რეაბილიტაცია. ხოლო ჩოლობარგის ამბულატორიას არა, იგი ამორტიზირებულია და საჭიროებს ახლის აშენებას.
2. დეპუტატმა **სპარტაკ კვაჭაძემ** განაცხადა, რომ ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულში ამბულატორიის შენობა მთლიანად გაუმართავია და მოსაწესრიგებელია თხოვნაა მოაწესრიგონ მთლიანად შენობა.
3. დეპუტატმა **აკაკი იმნაიშვილის** აზრით რამდენად მისაღებია შუხუთის ადმინისტრაციულ შენობაში ამბულატორია, ჩემი თხოვნაა გაკეთდეს ცალკე ამბულატორიული შენობა.
4. დეპუტატმა **ციცო ურუშაძემ** განაცხადა, რომ ჯუნეწერში არის ადმინისტრაციული შენობა, მოსახლეობის და ჩემი თხოვნაა ამ შენობაში განთავსდეს ბაგა-ბაღი, ასევე მან აღნიშნა, რომ სოკარის ტერიტორიაზე ვთხოვოთ დავით წულაძის სამსახურს, მოაწესრიგოს მიმდებარე სკვერი.
5. დეპუტატმა **კახა თედორაძემ** დასვა საკითხი, რომ დასასუფთავებელი და მოსაწესრიგებელია ყვავილნარში პლიაჟის ტერიტორიები.
6. კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** განაცხადა, რომ როგორც ცნობილია გურიაში კონკრეტულად ოზურგეთში, ასევე ბათუმში, სამტრედიაში და სხვაგან ფუნქციონირებს მკურნალობის მეტადონის ჩანაცვლების კურსი, რაც გარკვეულ პრობლემას უქმნის ამ აქციაში მონაწილე ლანჩხუთელ ბენეფიციარებს თუნდაც მგზავრობასთან დაკავშირებით ამიტომ სასურველია თუ მოხერხდება აღნიშნულ პროგრამა განხორციელება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, რითაც დაკმაყოფილდება ბენეფიციართა მოთხოვნები.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: /გიორგი გვარჯალაძე/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N4

ქ. ლანჩხუთი

22.04.2019 წ.

2019 წლის 22 აპრილს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი საჯარო შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტების მოწონების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი საჯარო შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტების მოწონების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: გიორგი გვარჯალაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი.

სარეგისტრაციო ფურცელი

22.04.2019 წ.

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	გიორგი გვარჯალაძე	15-40	
2.	ცისანა ურუშაძე	15-55	
3.	კახა ბოლქვაძე	15:41	
4.	ბესიკ კუპრაძე	16:00	
5.	ოთარ პატიეშვილი	—	
6.	სპარტაკ კვაჭაძე	15-56	
7.	ლელა ჩახვაძე	—	
8.	ზაზა წულაძე	16⁰⁰	
9.	რეზო კვაჭაძე	15 40	
10.	კახა თედორაძე	15 45	
11.	იოსებ ჩხაიძე	15-50	
12	ემზარ თევდორაძე	15 50	
13.	ამირან ქანთარია	—	
14.	ელისო ჭიჭინაძე	—	
15.	აკაკი იმნაიშვილი	16.00	
16.	ირაკლი მარშანიშვილი	—	